

X დანართი

მოხსენიებული მუხლში 5.21

ფინანსური მომსახურება

დანართი X

მოხსენიებული მუხლში 5.21

ფინანსური მომსახურება

მუხლი 1

მოქმედების სფერო და განმარტებები

1. წინამდებარე დანართი ეხება მხარეების მიერ გატარებულ ზომებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსური მომსახურებით ვაჭრობაზე.¹

2. ამ დანართის მიზნებისთვის:

(a) “ფინანსური მომსახურება” გულისხმობს მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ ფინანსური ხასიათის მომსახურებას. ფინანსური მომსახურება მოიცავს დაზღვევას და დაზღვევასთან დაკავშირებულ ყველა მომსახურებას და ყველა საბანკო და სხვა ფინანსურ მომსახურებას (გარდა დაზღვევისა). ფინანსური მომსახურება მოიცავს შემდეგ საქმიანობებს:

დაზღვევა და დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურება

(i) პირდაპირი დაზღვევა (მათ შორის თანადაზღვევა):

(aa) სიცოცხლის;

¹ ამ დანართის მიზნებისათვის “ფინანსური მომსახურებით ვაჭრობა” გაგებულ უნდა იქნას შეთანხმების მუხლში 5.3(a)(i) მოცემული განმარტების შესაბამისად.

- (bb) არა-სიცოცხლის;
- (ii) გადაზღვევა და რეტროცესია;
- (iii) სადაზღვევო შუამავლობა, როგორცაა საბროკერო და სააგენტო მომსახურება;
- (iv) დაზღვევის დამხმარე მომსახურება, როგორცაა საკონსულტაციო, აქტუარული, რისკის შეფასებისა და ზარალის დარეგულირების მომსახურება;

საბანკო და სხვა ფინანსური მომსახურება (გარდა დაზღვევისა)

- (v) საზოგადოებისგან დეპოზიტებისა და სხვა დაბრუნებადი სახსრების მიღება;
- (vi) ყველა სახის კრედიტის გაცემა, მათ შორის, სამომხმარებლო კრედიტი, იპოთეკური კრედიტი, ფაქტორინგი და კომერციული საქმიანობის დაფინანსება;
- (vii) ფინანსური ლიზინგი;
- (viii) ყველა სახის საგადახდო და ფულადი გადარიცხვის მომსახურება, მათ შორის, საკრედიტო და სადებეტო ბარათები, სამგზავრო ჩეკები და საბანკო ჩეკები;
- (ix) გარანტიები და პირობითი ვალდებულებები;
- (x) საკუთარი ან კლიენტთა სახსრებით ბირჟაზე თუ ბირჟის გარეთ ვაჭრობა შემდეგი ინსტრუმენტებით:
 - (aa) ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები (მათ შორის ჩეკები, ობლიგაციები, სადეპოზიტო სერტიფიკატები);
 - (bb) უცხოური ვალუტა;
 - (cc) დერივატივები, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ფიუჩერსებითა და ოპციონებით;
 - (dd) გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები, მათ შორის, სვოპ და ფორვარდულ განაკვეთზე კონტრაქტები;

- (ee) მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდები;
 - (ff) სხვა მიმოქცევადი ინსტრუმენტები და ფინანსური აქტივები, მათ შორის, ზოდები;
 - (xi) მონაწილეობა ყველა სახის ფასიანი ქაღალდის გამოშვებაში, მათ შორის, ანდერრაითინგსა და განთავსებაში აგენტის სტატუსით (საჯარო თუ კერძო შეთავაზების გზით) და ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული სხვა მომსახურების მიწოდებაში;
 - (xii) საშუამავლო მომსახურება ფულადი ინსტრუმენტების ბაზარზე;
 - (xiii) აქტივების მართვა, როგორცაა ნაღდი ფულის ან პორტფელის მართვა, ყველა სახის კოლექტიური ინვესტიციის მართვა, საპენსიო ფონდის მართვა, კასტოდიანური, დეპოზიტარული და სატრასტო მომსახურება;
 - (xiv) ანგარიშსწორებისა და კლირინგის მომსახურება ფინანსური აქტივებისათვის, მათ შორის ფასიანი ქაღალდებისათვის, დერივატივებისა და სხვა მიმოქცევადი ინსტრუმენტებისათვის;
 - (xv) ფინანსური ინფორმაციის მიწოდება და გადაცემა, ფინანსური მონაცემების დამუშავება და მასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფა სხვა ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების მიერ;
 - (xvi) საკონსულტაციო, საშუამავლო და სხვა დამხმარე ფინანსური მომსახურება ყველა იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ჩამოთვლილია (v)-(xv) ქვეპუნქტებში, მათ შორის, საკრედიტო მდგომარეობის შემოწმება და ანალიზი, ინვესტიციებისა და პორტფელის გამოკვლევა და კონსულტაცია, კონსულტაცია შესყიდვებთან და კორპორაციულ რესტრუქტურირებასთან და სტრატეგიასთან დაკავშირებით.
- (b) „ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი“ გულისხმობს მხარის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც სურს მიაწოდოს ან აწვდის ფინანსურ მომსახურებას ტერმინი

„ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი“ არ მოიცავს საჯარო უწყებას.

(c) „საჯარო უწყება“ გულისხმობს:

(i) მხარის მთავრობას, ცენტრალურ ბანკს ან მონეტარულ ორგანოს, ან უწყებას, რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს მხარე, რომელიც ძირითადად ახორციელებს სამთავრობო ფუნქციებს ან საქმიანობებს სამთავრობო მიზნებისათვის, გარდა უწყებისა, რომლის ძირითადი საქმიანობაა ფინანსური მომსახურების მიწოდება კომერციული პირობებით; ან

(ii) კერძო კომპანიას, რომელიც ასრულებს იმ ფუნქციებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ცენტრალური ბანკი ან მონეტარული ორგანო ახორციელებს, ამ ფუნქციების შესრულებისას.

(d) შეთანხმების მუხლის 5.3 (a) პუნქტის (ii) ქვეპუნქტის მიზნებისთვის „მთავრობის ფუნქციების შესრულებისთვის მიწოდებული მომსახურება“ გულისხმობს შემდეგს:

(i) ცენტრალური ბანკის ან მონეტარული ორგანოს ან სხვა ნებისმიერი საჯარო უწყების მიერ მონეტარული ან გაცვლითი კურსების პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებს;

(ii) საქმიანობას, რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური დაცვის სისტემის ან სახელმწიფო საპენსიო სქემის ნაწილს; და

(iii) საჯარო უწყების მიერ მთავრობის სახელით, მისი ფინანსური რესურსების ან გარანტიის გამოყენებით განხორციელებული სხვა საქმიანობა.

(e) შეთანხმების მუხლის 5.3(a) პუნქტის (ii) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ მხარე დაუშვებს ამ პუნქტის (d)(ii) ან (d)(iii) ქვეპუნქტებში აღნიშნული ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებას მისი ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების მიერ საჯარო უწყებასთან ან ფინანსური მომსახურების მიმწოდებელთან კონკურენციის პირობებში, „მომსახურება“ მოიცავს ასეთ საქმიანობას.

- (f) შეთანხმების მუხლის 5.3(a)(iii) ქვეპუნქტი არ გამოიყენება ამ დანართით განსაზღვრული მომსახურებისთვის.

მუხლი 2

ეროვნული რეჟიმი

1. თითოეულმა მხარემ, ეროვნული რეჟიმის საფუძველზე, უნდა უზრუნველყოს, მის ტერიტორიაზე დაფუძნებული მეორე მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლისთვის, საჯარო უწყებების მიერ მართული საგადახდო და საკლირინგო სისტემების ხელმისაწვდომობა და ასევე წვდომა ოფიციალური დაფინანსებისა და რეფინანსირების მექანიზმებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. მოცემული პუნქტის მიზანი არ არის მხარის ბოლო ინსტანციის კრედიტორის მექანიზმზე წვდომის უფლების მინიჭება სახსრებთან.

2. როდესაც

- (a) მხარე მეორე მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლისაგან მოითხოვს ნებისმიერი თვითრეგულირებადი ორგანოს, ფასიანი ქაღალდების ან, ფიუჩერსული ბირჟის ან ბაზრის, საკლირინგო სააგენტოს ან სხვა ნებისმიერი ორგანიზაციის ან ასოციაციის წევრობას, მონაწილეობას ან მასზე წვდომას იმ მიზნით, რომ მეორე მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებელმა მიაწოდოს ფინანსური მომსახურება ამ მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლებთან თანაბარ პირობებში; ან
- (b) მხარე მსგავს ერთეულებს პირდაპირ ან არაპირდაპირ ანიჭებს უპირატესობას ან პრივილეგიებს ფინანსური მომსახურების მიწოდების დროს,

მხარემ უნდა უზრუნველყოს ასეთი ერთეულების მიერ ეროვნული რეჟიმის გამოყენება მეორე მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების მიმართ, რომლებიც არიან მისი ტერიტორიის რეზიდენტები, საქმიანობენ ცხრილში მოცემულ სექტორებში და მათზე ვრცელდება ცხრილით გათვალისწინებული პირობები და შეზღუდვები.

მუხლი 3

გამჭვირვალობა

1. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს მარეგულირებელი სისტემის გამჭვირვალობას ფინანსურ მომსახურებაში, გაითვალისწინებს რა:

- (a) მხარეთა მიერ GATS-ში და ფინანსურ მომსახურებაში ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო ფორუმებში განხორციელებულ სამუშაოს;
- (b) მარეგულირებელი სისტემის გამჭვირვალობის, პოლიტიკის იდენტიფიცირებადი ამოცანებისა და ნათელი და თანამიმდევრულად გამოყენებული მარეგულირებელი პროცესების მნიშვნელობას; და
- (c) მხარეთა შორის განხორციელებულ ნებისმიერ კონსულტაციებს.

2. თითოეული მხარის კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს იმ შიდასახელმწიფოებრივი მოთხოვნებისა და პროცედურების ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისათვის, რომლებიც საჭიროა ფინანსური მომსახურების მიწოდების მიზნით განცხადების შესავსებად.

3. როდესაც ფინანსური მომსახურების მისაწოდებლად მოთხოვნილია ლიცენზია, მხარის კომპეტენტური ორგანო უზრუნველყოფს ასეთი ლიცენზიის მოთხოვნების საჯარო ხელმისაწვდომობას. ვადები, რაც ჩვეულებისამებრ მოითხოვება ლიცენზიის განაცხადზე გადაწყვეტილების მისაღებად:

- (a) იქნება განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომი მოთხოვნის შემთხვევაში;
- (b) იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი; ან
- (c) იქნება ხელმისაწვდომი ორივე შემთხვევაში.

მუხლი 4

განცხადების დაჩქარებული პროცედურები

1. თითოეული მხარის კომპეტენტური ორგანოები დაჩქარებული

მეთოდით დაამუშავებენ მეორე მხარის მომსახურების მიმწოდებლების მიერ ფინანსური მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით წარდგენილ განცხადებებს.

2. იმ შემთხვევაში, თუ მხარის კომპეტენტურ ორგანოებს დასჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია განმცხადებლისგან მისი განცხადების დამუშავების მიზნით, ისინი დაუყოვნებლივ შეატყობინებენ განმცხადებელს ამის შესახებ.

3. განმცხადებლის მოთხოვნისთანავე მხარის კომპეტენტური ორგანოები დაუყოვნებლივ წარუდგენენ მას განცხადების სტატუსთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

4. როდესაც ფინანსური მომსახურების მიწოდებისთვის მოთხოვნილია ლიცენზია და თუ შესრულებულია შესაბამისი მოთხოვნები, მხარის კომპეტენტური ორგანო გადასცემს განმცხადებელს ლიცენზიას, როგორც წესი ექვსი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მისი განაცხადის ჩაბარების პროცესი ჩაითვლება დასრულებულად ამ მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად .

5. თითოეული მხარის კომპეტენტური ორგანო შეატყობინებს განმცხადებელს მისი განცხადების შედეგის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე. განცხადებაზე უარის თქმის შემთხვევაში, განმცხადებლისთვის ცნობილი უნდა გახდეს უარის მიზეზი.

მუხლი 5

ეროვნული რეგულირების მექანიზმები

1. ამ შეთანხმების მე-5 თავის ნებისმიერი სხვა დებულებების მიუხედავად, თითოეულ მხარეს არ ეკრძალება გონივრული ზომების შემოღება ან გამოყენება ისეთი მიზნებიდან გამომდინარე, როგორცაა:

(a) ინვესტორების, დეპოზიტარების, პოლისების მფლობელების, დაზღვეულების ან იმ პირების დაცვა, რომელთა მიმართაც ფინანსური მომსახურების მიმწოდებელს, ან მსგავსი ფინანსური ბაზრის მონაწილეებს გააჩნია ფიდუციური ვალდებულება ; ან

(b) მხარის ფინანსური სისტემის მთლიანობის და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ასეთი ზომები მხარის მიერ არ უნდა იქნას გამოყენებული ამ შეთანხმების მე-5 თავით განსაზღვრული ვალდებულებათა თავიდან აცილების საშუალებად.

2. პირველ პუნქტში მითითებული ზომები არ უნდა იყოს უფრო დამამძიმებელი, ვიდრე ეს საჭიროა მათი მიზნის მისაღწევად და არ წარმოადგენენ ფარულ შეზღუდვას მომსახურებით ვაჭრობაში; აღნიშნული ზომები არ მოახდენენ მეორე მხარის ფინანსური მომსახურების ან ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების დისკრიმინაციას მხარის საკუთარ ფინანსურ მომსახურებასთან ან ფინანსური მომსახურების მიმწოდებლებთან შედარებით.

3. თითოეული მხარე მაქსიმალურად ეცდება უზრუნველყოს საკუთარ ტერიტორიაზე ბაზელის კომიტეტის „საბანკო სექტორის ეფექტიანი ზედამხედველობის ძირითადი პრინციპების“, დაზღვევის ზედამხედველების საერთაშორისო ასოციაციის სტანდარტებისა და პრინციპების და ფასიანი ქაღალდების რეგულატორთა საერთაშორისო ორგანიზაციის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის ამოცანებისა და პრინციპების“ დანერგვა და გამოყენება.

4. ამ შეთანხმების მე-5 თავში არაფერი ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ მოსთხოვოს მხარეს ინდივიდუალური მომხმარებლების საქმეებისა და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ან საჯარო დაწესებულებების განკარგულებაში არსებული კონფიდენციალური ან კერძო საკუთრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება.

მუხლი 6

გონივრული ზომების აღიარება

თუ მხარე, ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, აღიარებს იმ პირის გონივრულ ზომებს, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების ან შეთანხმების მხარეს, იმის განსაზღვრისას, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებული მხარის ზომები, აღნიშნულმა მხარემ უნდა მიანიჭოს მეორე მხარეს შესაბამისი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელმა აწარმოოს მოლაპარაკება ასეთ ხელშეკრულებაში ან შეთანხმებაში მის მონაწილეობასთან დაკავშირებით, ან აწარმოოს მოლაპარაკება მსგავსი ხელშეკრულების ან შეთანხმების გაფორმების თაობაზე ისეთ ვითარებებში, სადაც იქნება ექვივალენტური რეგულაცია, ზედამხედველობა და დაინერგება ისეთი რეგულაცია და, შესაბამის შემთხვევაში, პროცედურები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების ან შეთანხმების მხარეთა შორის ინფორმაციის გაზიარებასთან. როდესაც მხარე ახდენს ასეთი აღიარების მინიჭებას დამოუკიდებლად, მან უნდა მიანიჭოს მეორე მხარეს შესაბამისი

შესაძლებლობა, რათა ამ უკანასკნელმა დაადასტუროს ასეთი ვითარების არსებობა.

მუხლი 7

ინფორმაციის გადაცემა და ინფორმაციის დამუშავება

არცერთი მხარე არ მიიღებს ზომებს, რომლებიც ხელს შეუშლის ინფორმაციის გადაცემას მხარის ტერიტორიაზე ან მის გარეთ, ან ფინანსური ინფორმაციის დამუშავებას, მათ შორის მონაცემთა გადაცემას ელექტრონული საშუალებებით, ან საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისი იმპორტის წესების გათვალისწინებით, ხელს შეუშლის აღჭურვილობის გადაცემას, როდესაც ინფორმაციის ასეთი გადაცემა, ფინანსური ინფორმაციის დამუშავება ან აღჭურვილობის გადაცემა საჭიროა მეორე მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლის ჩვეულებრივი ბიზნესის წარმოებისას. არაფერი ამ მუხლში არ უნდა ზღუდავდეს მხარის უფლებას დაიცვას პერსონალური მონაცემები, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ინდივიდუალური ჩანაწერების და ანგარიშების კონფიდენციალურობა იმდენად, რამდენადაც ეს უფლება არ იქნება გამოყენებული ამ შეთანხმების მე-5 თავის დებულებების გვერდის ავლის მიზნით.
